№ 3001
შაბათი,
11 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 3001
შაბათი,
11 თებერვალი

ჩაწერის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში: უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ღ. ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმე დღის გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით
გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული, მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:
კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 50 კაპ.
საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან. ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება
დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა სტუდენტ ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.
„ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".
ადრესი: Тифлисъ. редакція „Цнобисъ Пурцели".

უკანასკნელი ქართული წარმოდგენები
საარტისტო საზოგადოების თეატრში

შაბათს, 11 თებერვალს, დილის 12½ საათზე.
ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და გ. გედევანოვის მონაწ. ახალგაზრდა მსახიობთა სასარგებლოდ ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
ჰამლეტი
ტრაგედია 5 მოქმ. შექსპირისა, თარ. ი. მაჩაბლისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
დასაწყისი დილის 12½ საათზე.
ადგილების ფასი დაკლებულია.
მოსწავლეთათვის ადგილი ლოჟებში 40 კაპ.
წარმოდგენა დაიწყება დილის 12½ საათზე.

კვირას, დილით 12 თებერვალს
ბენეფისი
ვლ. ალექსი-მესხიშვილისა
წარმოდგენილი იქნება
II
ნიაღვარი
დრამა 4 მოქმ. კასარატოვისა, თარგ. ვ. გუნიასი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ოლ. ლეჟავა, მ. მდივანი, ნ. ჯავახოვი: ბ-ნნი: ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. შათირიშვილი, ს. სვიმონიძე, ვ. შალიკაშვილი, შ. დადიანი, დ. ჩარკვიანი, კ. ერისთავი, ვ. ურუშაძე, ი. ქიქიძე და სხვა.
რეჟისორი ვ. გუნია.

თავ. ნიკოლოზ და გასილ ალექსანდრეს ძენი ამირეჯიბნი, კნ. სოფიო ჯავახიშვილისა, მელანია ყარანგოზიშვილისა და კნ. მარიამ ფალავანდიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარ მშობლის
კნეინა ეკატერინა ირაკლის ასულის ამირეჯიბის
გარდაცვალებას და სთხოვენ მობრძანდნენ სოფ. ავლევში შაბათს, 11 თებერვალს, დილის 10 საათზე, მიძინების ღვთის მშობლის ეკკლესიაში დაკრძალვაზე დასასწრებლად. (1—47—1)

ანნა მის ღვის ასული საკაძისა, შვილი ითურთ, მიხეილ გაბრა ლ. ს ძე საკაძე შვილებითურთ და მღ. კონსტ. ბახუტაშვილი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი ქმრისა და მამისა, მეორენი ძმისა და ბიძისა, მესამე სიმამრისა
ივანე გაბრიელის ძის საკაძისას.
გამოსვენება ბინიდან (ანტონ. ქუჩა, № 15) კვირას, 12 თებერვალს; დაკრძალვა კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზი. (1—1)

!!! ისარგებლეთ სიიაფით !!!
ტყვიავის სანაქებო ხილის ნერგები კალვილისა და რენეტების ოცდა ათ ჯურამდე, საუკეთესო ღირსებისა ნახევარ ფასად, შედარებით სხვა სანერგეებთან: ასი 12 მ. 50 კ. ხუთას ზევით—ასი 10 მ., ხოლო ვინც ათასობით წაიღებს, ასი დაეთმობა 9 მ. ჩატანით გორის სადგურამდე.
ფოსტის ადრესი: Гори—Тквіави Николаю Кецховели. (5—46—1)

ვისაც სურს
სახლი ააშენოს, ან უკვე აშენებული სახლი გადააკეთოს გემოვნებით, იაფად და მკვიდრად, ვკისრულობ ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას ყველასათვის ხელმისაწვდომ პირობებით. ვიღებ სხვაზვა საქმეებსაც.
მსურველმა მომმართოს: 1) სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლის ეზოში, Бюро „Сотрудникъ"-ის კონტორაში, ტელეფონი № 60, ან 2) ჩუღურეთში, გონჩარნი ქუჩაზე, საკ. სახლი № 28.
(10—6—5) ტეხნიკოსი გიგო თოიძე.

ა. ქ. შულცინა-მესხი
გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თდ.)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 14) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

კბილის ექიმმა
ი. ზ. კანდელაკმა
განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

ექიმი
ზ. ა. ზედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (31—6.—32)

ექიმი
მ. პ. ზუბირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათზედ. (თვ.—25)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სხანიშვილის.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. ალაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.
ე. ნ. ეზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ი. აგეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. კიმოწტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ზიმიჩი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—45)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა. (15—კვ.—2)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

ექიმი
პ. ა. არღაზიანი
იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა (19—12)

ტფილისი, 11 თებერვალი.

17 ოქტომბრის მანიფესტის გაუქმება

ბიუროკრატია ერთის მხრივ სპობს განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხოლო მეორე მხრივ არწმუნებს ხალხს: „მე შენთვის ვამზადებ შეურყეველ საფუძველს თავისუფლებისასაო". ერთის მხრივ იგი რიხით გაიძახის: წინ ვერა დამიდგება რა და არაფერს და არავის არ დავინდობო. სცემს „სისასტიკით" საოცარ ბრძანებებს და ცირკულიარებს, რომელთა წამკითხველსაც სისხლი ეყინება საშინელებისაგან, მაგრამ მეორეს მხრივ მაინც ეშინიან და დაჟინებით იმეორებს: ეს სულ 17 ოქტომბრის მანიფესტის გულისთვის ხდება, ჩვენ ამ მანიფესტის დამცველნი ვართო. გვარწმუნებს ამას ბიუროკრატია, მაგრამ საზოგადოება ურწმუნო თომასავით არ იჯერებს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტისა და ამ მანიფესტით აღიარებულ თავისუფლებისთვის საჭირო იყოს ასეთი მომხრეობა. რა ნდობა შეგრჩება გულში, როდესაც კითხულობ ბ-ნ დურნოვოს ცირკულიარს, ბაუერის ბრძანებას, ყარანგოზოვის განცხადებას და სხვა ამგვარს. კითხულობ და ფიქრობ: რად გადააყენეს ტრეპოვი სამსახურიდან? ნუ თუ მარტო ერთი ფრაზისათვის: პატრონებს ნუ დაზოგავთო! განა ეს ფრაზა რითია მეტი ზემოხსენებულ ცირკულიარებზე? ტრეპოვის დანაშაული მაშ მხოლოდ ისა ყოფილა, რომ ცოტა ადრე სთქვა ეს სიტყვები. კითხულობ და უნებურად გგონია, რომ ადამიანს ადამიანის ნასახი დაჰკარგვია და რაღაც საარაკო ქმნილებას დამსგავსებია, მაგრამ ბიუროკრატია მაინც გულს არ იტეხს, უფრო და უფრო მძვინვარებს და თავისუფლების სახელით სპობს ყოველსავე თავისუფლებას. ეხლა თანდათან ირკვევა, რომ ბიუროკრატიას ერთად-ერთი აზრი აქვს: გააუქმოს 17 ოქტომბრის მანიფესტი ისე, რომ ხალხმა პროტესტის გამოცხადება ვერ მოახერხოს. აქამდის, როდესაც გვესმოდა, რომ სამინისტრო კონსტიტუციას ადგენს, ერთად-ერთი ნუგეში ჩვენი ცხოვრებისა ის იყო, რომ სახელმწიფო სათათბირო შეასწორებს კონსტიტუციას ან სულ ახალ კონსტიტუციას შეიმუშავებსო.

ეხლა-კი, როგორც ინგლისური გაზეთის „ტრიბუნა"-ს კორრესპონდენტი იუწყება, საქმე სხვანაირად დატრიალებულა. კორრესპონდენტს უნახავს ორი პროექტი კონსტიტუციისა. არც ერთი პროექტი არა ჰგავს თურმე „ნოვოე ვრემიას" მიერ გამოქვეყნებულ პროექტს. ამ პროექტების ძალით, საკანონმდებლო უფლება ეკუთვნის იმპერატორს, რომელიც კანონებს გამოაქვეყნებს სახელმწიფო საბჭოს შუამავლობით; აღმასრულებელი უფლებაც მხოლოდ იმპერატორს ეკუთვნის. ორივე პროექტი ფართო მოქალაქობრივ თავისუფლებებს ამყარებს, მაგრამ იმავ დროს შესაძლებელად სცნობს განსაკუთრებულ კანონების გამოცემას, ისეთ კანონებისა, რომელიც ადვილად გააუქმებს თავისუფლებების გარანტიას და ისეთ მდგომარეობას შეჰქმნის, როგორც დღეს არის. ორივ პროექტში მიღებულია ფორმულა: „ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე", ამავე დროს ორივე პროექტი უკრძალავს არა მართლმადიდებელთ და ებრაელებს გლეხის მიწის ყიდვას.

ერთი რამეც უნდა დაუმატოთ ამას: გაზეთების ცნობით, მინისტრებს უნდათ კონსტიტუცია საბოლოოდ შეიმუშაონ, ე. ი. სახელმწიფო სათათბიროს არა ჰქონდეს უფლება კონსტიტუციის გადასინჯვისა და შესწორებისაც-კი. მინისტრების აზრით, სათათბიროს კანონმდებლობითი უფლება უნდა ჰქონდეს და არა დამფუძნებელ კრებისა. ამ მოსაზრებით, სათათბიროს უფლება არ უნდა მიეცეს კონსტიტუციის გადასინჯვისა. მართალია, ასეთი ცდა მინისტრების მხრივ ფსიხოლოგიურად ადვილი ასახსნელია, მათ უნდათ, სათათბიროს უფლება არა ჰქონდეს, შეეხოს იმას, რაც ამ ჟამად ხდება, უნდათ, თავიანთი თავი და მოქმედება როგორმე უზრუნველჰყონ; მაგრამ ასეთი პროექტი ხომ უარყოფაა ყოველისავე სათათბიროსი. 17 ოქტომბრის მანიფესტში, როგორც ყველას კარგად ეხსომება, ნათქვამია, არავითარი კანონი არ უნდა გამოიცეს სახელმწიფო სათათბიროს დაუდასტურებლადაო. სამინისტრო-კი ფიქრობს გამოიცეს ხოლმე განსაკუთრებული კანონები, ე. ი. სხვა და სხვა ცირკულიარები. ასეთ ცირკულიარების რიცხვი დღესაც სოკოსავით მრავლდება. ეს კიდევ ცოტაა. სამინისტრო ფიქრობს მთელ კონსტიტუციის გამოცხადებას სახელმწიფო სათათბიროს დაუკითხველად. სად არის კანონმდებლობითი უფლება? ყველასთვის ცხადია: ის მოსაზრება, რომ კონსტიტუციის სათათბიროსათვის განსახილველად გადაცემა დამფუძნებელი კრების უფლების მიცემა იქნებაო, მხოლოდ ხრიკია. დამფუძნებელ კრებას განუსაზღვრელი უფლება აქვს ხოლმე. იმის მიერ შემუშავებული კანონები სავალდებულოა ხოლმე ყველასათვის და არავის დამტკიცებას არა საჭიროებს, სახელმწიფო სათათბიროს-კი მხოლოდ ის უფლება აქვს, რომ არ მიიღოს უკვე შემუშავებული კანონები; შეიძლება სათათბიროს მიერ შემუშავებული კანონებიც არ დამტკიცდეს, თუ ზემო პალატა არ დაეთანხმება და ხელმწიფე არ დაამტკიცებს. ხოლო თუ სათათბიროს კონსტიტუციის გადასინჯვის უფლებაც აღარ ექნება, ეს სრული უარყოფა გამოვა სახელმწიფო სათათბიროს საკანონმდებლო უფლებისა. თუ ყოველივე ეს გამართლდა, სრულიად გაუქმდება 17 ოქტომბრის მანიფესტი და რუსეთი წინანდელ რეჟიმს დაუბრუნდება. ასე იქნება საქმე თუ ისე, როგორც აქამდე იყო, ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ, სახელდობრ ის, რომ მთავრობა ამგვარ საქციელით საბოლოოდ დაჰკარგავს ხალხის ნდობას, და რითი გათავდება საქმე, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

პარტიები რუსეთში

თუმცა არავინ იცის დანამდვილებით—შეიკრიბება თუ არა ახლო-მომავალში სახელმწიფო სათათბირო ან, თუ შეიკრიბება, რა სახისა და გვარის იქნება, გაზეთები მაინც იკვლევენ და ნუსხავენ პოლიტიკურ პარტიებს, რომელნიც ამჟამად გამოირკვა რუსეთში ან წინად მოქმედობდა. ვფიქრობთ, რომ ბევრ ჩვენის მკითხველებისათვისაც საინტერესო იქნება გაიგონ, თუ რა და რა პარტიები გამოიჩეკა რუსეთის თავისებურ პოლიტიკურ ნიადაგზე და ამიტომ მოგვყავს ცნობები, რომლითაც შედგენილი ბ. ველიხოვმა დაახლოვებით და რომელიც ცოტად თუ ბევრად სავსებით ახასიათებს საგანს.

პარტიები ხასიათდება, ბ. ველიხოვის ცხრილით, იმის მიხედვით, თუ როგორ ეპყრობიან თანამედროვე რეჟიმს და როგორი პოლიტიკური წესწყობილების დამყარება ჰსურთ. ამ მხრით პარტიები იყოფება სამ დიდ ჯგუფად: I—თვითმპყრობელობის მომხრენი, II—კონსტიტუციონურ მონარხიის მომხრენი და III—რესპუბლიკის მომხრენი. თითოეულ ჯგუფში სხვა და სხვა პარტიაა თავის პროგრამითა და საკუთარის ტაქტიკით. მეტად უცნაურია პირველი ჯგუფი. რა და რა ჯურის ხალხს არ მოუყრია თავი გათახსირებულ მომაკვდავ რეჟიმის დასაცველად?!

მაგრამ, გავიცნოთ სათითაოდ ყოველი ჯგუფი.

I. თვითმპყრობელობის მომხრენი

ეს ჯგუფი სამ ნაწილად იყოფა: მემარჯვენენი, ცენტრი და მემარცხენენი. მემარჯვენეთ ეკუთვნიან: 1) რეაქციონერები—ტერრორისტები (ხალხმა ამათ უწოდა „შავი რაზმი"—черная сотня) და 2) მონარხიული პარტია. 1) რეაქციონერების პროგრამა და მისწრაფება: დღევანდელ არეულობის მიზეზი უცხოელები და „ინოროდცებ"-ა; ამათ ჰსურთ რუსეთის დანგრევა-დანაწილება, მოისყიდეს რუსეთის ინტელიგენცია და მასთან ერთად არბევენ მთელ რუსეთს. ამიტომ, საჭიროა ძალადობის ხმარება და საშინელ რეპრესიებით აღმოფხვრა რუსეთის ამ მტრებისა (აწიოკება ებრაელებისა, გაჟლეტა რევოლიუციონერებისა, ცემა და დაპატიმრება რუს-ლიბერალებისა და სხვა). ამ გზით აღდგენილ და დაცულ უნდა იქმნას ძველი პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმი... ასეთ მხეც პარტიას თავისი გაზეთიც აქვს: მოსკოვში გამოდის ბერგის რედაქტორობით და სახელად „დენ"-ი ჰქვია. ხულიგანების ამ ნამდვილ პარტიას ძალიან არ დაშორებია 2) „მონარხიული პარტია". ამის პროგრამაა: შეუზღუდველი აბსოლიუტიზმი; სასტიკი ცენტრალიზაცია; სახელმწიფოს განაგებს მტკიცე დიქტატორი, რომელსაც თვითმპყრობელი ნიშნავს; ერთად ერთი უმთავრესი დაწესებულებაა—სახელმწიფო საბჭო, რომლის წევრთ იმპერატორი ნიშნავს გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებიდან. ამ პარტიის ორგანოებია—„მოსკოვ. ვედომ."-ი და „რუსსკი ვესტნიკ"-ი; თავი და თავი ორგანიზაცია მოსკოვსა და კიევს აქვს, ევრედ წოდებული „რუსსკოე ბრატსტვო". აი ეს ორი პარტიაა. თვითმპყრობელობის მომხრეთა ჯგუფის მემარჯვენე.

პირველის ჯგუფის ცენტრს შეადგენენ: 1) „რუსსკოე სობრანიე", 2) „სახალხო ცენტრი" და 3) „რუსის ხალხის კავშირი". ესენიც თვითმპყრობელობის აღდგენის მომხრენი არიან, მაგრამ სახელმწიფო სათათბირო სწამთ. ეს სათათბირო კანონმდებელიკი არ უნდა იყოს, არამედ მრჩეველი; კანონებს წარუდგენენ, გასინჯავს და შეასწორებს, შემდეგ მეფე თავის სურვილით ან შესცვლის ან დაამტკიცებს. ამნაირად ეს „ცენტრი" წინააღმდეგია 17 ოქტომბრის მანიფესტისა და ცოტათი სწამს 6 აგვისტოს მანიფესტი. ამ პარტიების გაზეთებია: „სელსკი ვესტნიკ", „ზნამია", „რუსსკ. დელო", „რუსსკი ლისტოკ" და „მირნი ტრუდ". ორგანიზაციები უმთავრესად ჰყავთ პეტერბურგსა და მოსკოვს: ანტისემიტები, „ნამდვილ რუსთა კავშირი", „სახალხო-სამეურნეო პარტია", პატრიოტები და სხვა.

ბოლოს, I ჯგუფის მემარცხენეთ ეკუთვნიან სლავიანოფილები. შინაარსი ამათ პროგრამისა: პეტრე დიდმა უკუღმართი გზა გაუჩინა რუსეთს, შექმნა ბიუროკრატია და მოაშორა ხალხს იმპერატორი—მეფე; უნდა მოისპოს შუამავალი—ბიუროკრატია და მეფე და ხალხი უნდა დაუახლოვდნენ ისევ ერთმანეთს; მეფე თვითმპყრობელი უნდა დარჩეს, ხოლო ხალხის რჩეულ წარმომადგენელთ („ზემსკი სობორ") უნდა დაეკითხოს რჩევას საყურადღებო საქმეებზე. ამ პარტიის ორგანოა: „იზვესტია სლავიანსკ. ობშჩესტვა".

აი ეს პარტიებია თვითმპყრობელობის დამცველი და სრული წინააღმდეგი 17 ოქტომბრის მანიფესტისა. არავითარი მორალური ძალა ამათ აღარ შესწევთ, ნიადაგი გამოსცლიათ და ან „შავი რაზმების" მეოხებით უნდათ ფონს გავიდნენ (პატრიოტები) ან და ტყუილ-უბრალოთ ოცნებობენ (სლავიანოფილები). რეალური მნიშვნელობა ამათ აღარ აქვთ და თვით ემდელი რეაქციონური მთავრობა არ უწევს მათ ანგარიშსა და მფარველობას. მათით მხოლოდ დროებით სარგებლობენ რეაქციის გასაძლიერებლად და რევოლიუციის მოსასპობად, მაგრამ ბიუროკრატიისაც-კი არა სწამს, რომ ამ ჯურის პარტია-ჯგუფებმა რაიმე როლი ითამაშონ მომავალ სახელმწიფო სათათბიროში. ამ მხრით უფრო მნიშვნელოვანია მეორე ჯგუფი: საკონსტიტუციო მონარხიის მომხრენი. ამათზე შემდეგ.

(შემდეგი იქნება)

გამიჯვნის საქმე ჩვენში

(დასასრული *)

ზემოდ აღნიშნული კრთება და არაფრად ჩაითვლება იმასთან შედარებით, რაც გამიჯვნის საქმეს იმერეთში დამართა სვირელების მამულების ვაჭო აღძრულმა დავამ სახელმწიფო ქონებათა უწყების მხრით.

ერთ მშვენიერ დღეს სვირელებმა გაიგეს, რომ სახელმწიფო ქონებათა გამგემ, აწ განსვენებულმა ან. გამრეკელმა, მათი მამულები სადავოდ გამოაცხადა. სვირელები, მეტადრე მაშინ, ამ 15 წლის წინად, ღონიერი და შეძლებული მშრომელი ხალხი იყო. გამრეკელისაგან გამოცხადებული დავა სვირელებმა იუცხოვეს: მთელის საუკუნეებით სვირელები თავიანთ თავს მესაკუთრეებად სთვლიდნენ, მამულში რამდენიმე თაობის ოფლი და სისხლი იყო ჩაქცეული, რომ წინად გაუვალი ადგილები განუწყვეტელ ვენახად გადაექციათ და იმის ნაყოფის განაღდებით ოჯახისა და საზოგადო მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ, და იმ დროს, როცა ყოველი სვირელი მომავალს იმედით შეჰყურებდა, სწორედ ამ დროს გამოუცხადეს, რომ მამული თქვენი-კი არა, ხაზინისაო.

დაღონდა ხალხი, საგონებელს მიეცა, დაეკითხნენ მცოდნე პირთ, რომელთაც აუხსნეს სვირელებს, რომ საქმე სახუმარო არ არის და მხნეობა და ცდა გმართებთ მაგ საქმეშიო.

სხვა რა გზა ჰქონდათ—დავას უნდა შესდგომოდნენ. ბევრის თათბირის შემდეგ ვექილად გ. ლოლობერიძე აიყვანეს და სულით და ხორცით მას ჩაჰბარდნენ. ლოლობერიძემ სასყიდლად სვირელებისაგან არა ითხოვა-რა, პირობად-კი დაუდო, რომ რაც ხაზინას საქმის წარმოების ხარჯი გადაუხდება, ის ჩემს საკუთრებად უნდა ჩაითვა-

*) იხ. „ცნ. ფურ." № 3000

ლოსო. პირობა სვირელებმა იყაბულეს და ამის გამო ლოლობერიძემ სვირელების სადავო მამული ორ მილიონ მანეთად დააფასა. არ ვიცი, ღირს თუ არა სვირელების მამული ორ მილიონად, ეს-კია, რომ ბ-ნ ლოლობერიძეს უთუოდ დიდი იმედი ჰქონდა საქმის მოგებისა, თორემ ასეთ დიდ ფასს არ დასდებდა სვირელების მამულს. გ. ლოლობერიძემ კარგად იცოდა, რომ საქმის წაგება უზომოდ დაზარალებდა სვირელებს.

თუ სვირელებსა და მათ ვექილს საქმის მოგების იმედი დიდი ჰქონდათ, ამნაირისავე იმედით არ უყურებდა საქმეს სახელმწიფო ქონებათა გამგეობა—იქ ლოლობერიძის ტაქტიკამ შეაფიქრიანა ხალხი და ხშირი მიწერ-მოწერა გაამართვინა პეტერბურგთან, საიდანაც ორ ხელად გამოგზავნეს იურისტები ხაზინის ინტერესების დასაცველად და საქმე-კი მაინც სვირელების მხარეზე იხრებოდა; მეტი გზა არ იყო, არა ჩვეულებრივ საშუალებისთვის უნდა მიემართნათ და კიდევაც მიმართეს—სვირის საქმის წარმოება შეაჩერეს და ამავე დროს ისარგებლეს სვიმონეთში ატეხილ დავით ხაზინასა და სვიმონეთლებს შორის და სენატს განმარტება სთხოვეს შემდეგ საგანზე: საქმაოა თუ არა გლეხი და მისი მამული სახელმწიფოდ ჩაითვალოს, თუ იგი ან მისი წინაპარი კამერალურ აღწერილობაში სახელმწიფო გლეხად არის აღნიშნული? კითხვას მალე მოჰყვა პასუხი, რომლითაც ყოველი გლეხი კამერალის აღწერილობაში სახელმწიფოთ წოდებული, ვიდრე არ დაამტკიცებს უტყუარ საბუთებით, რომ დაჭერილი მამული იმისი საკუთრებაა, სახელმწიფოთ იქნება ცნობილი თავის მამულით.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რამდენად გაამარტივა სენატის განმარტებამ სახელმწიფო ქონებათა გამგეობის საქმე და გაართულა მემამულეთა მდგომარეობა გამიჯვნის საქმეში.

წარმოიდგინეთ საბრძოლველად გამზადებული ორი მხარე—ერთს ეძლევა უფლება გამარჯვებისათვის ყოველ საშუალებას, ხრიკს მიჰმართოს, ხოლო მეორეს—ეუბნებიან, თუ შენ ამა და ამ საშუალებას მიჰმართე, ბრძოლას წააგებო. სწორედ ასეთი მდგომარეობა შეიქმნა მემამულეთათვის სენატის განმარტების შემდეგ. ხაზინის აგენტების ფარ-ხმალს შეადგენს ეხლა კამერალის აღწერილობა.—ჩაიხედავს აღწერილობაში და რა ამოიკითხავს, რომ ეს და ეს კაცი იქ სახელმწიფოდ არის წოდებული, მორჩა და გათავდა—დავა გაჩაღებულია, მაგრამ ისეთი, რომ ერთი მხარე—ხაზინა არხეინად არის და მეორემ კი თავში ქვა უნდა იცხოს და დაამტკიცოს საბუთებით, რომ მამული მისია და არა ხაზინისა.

ხაზინის უპირატესობა ამით არა თავდება: იმ დროს, როცა ხაზინის მოპირდაპირე ვალდებულია ყოველ თავის თხოვნას მარკები დააკრას, საქმის წარმოების ხარჯი გადაიხადოს, თუ საქმეს წააგებს, ხაზინა თავისუფალია ყველა ამ ხარჯისაგან. სამიჯნო საქმეების წარმოებისათვის ხაზინას ჰყავს მთელი შტატი მოხელეებისა, რომელნიც, ბევრი იქნება საქმე თუ ცოტა, ჯამაგირს მაინც აიღებენ, ხოლო ხაზინის მოპირდაპირენი უზომო ფულს ხარჯავენ ვექილების დასაკმაყოფილებლად; ამას ისიც დაუმატეთ, რა დაეხარჯება კერძო პირს მისვლა-მოსვლასა და დროის დაკარგვაში, და მაშინ მიხვდებით, რად ფერხდება გამიჯვნის საქმე ჩვენში და ეს უკანასკნელი გარემოება რამდენად სწყვავს ურთიერთ დამოკიდებულებას მემამულეთა შორის. **სალი.**

დასავლეთ საქართველოში

ჭიათურა. (25 იანვრიდან 6 თებერვლამდე). წინად გატყობინებდით: „აქ ეხლა ცეცხლი არა ჩნდება; ღამე ყაზახებთან ჩვენი პატრულიც დადის და 23 იანვარს არც ძარცვა და არც წვა არა ყოფილა, რის გამო ხალხი ცოტა დამშვიდდა“. ასეთმა მდგომარეობამ გასტანა მხოლოდ ერთ დღესა და ღამეს, 25 იანვარს-კი, ისევ დაიწყო ძარცვა. გაძარცვეს ოჯახები ლეჟავებისა, სადაც წაღლოთ რაც ხეირიანი რამ ენახათ. სხვათა შორის, წაიღეს ბალიშები და საბნებიც. ამავე დღეს ორიოდე უცხოელიც გაძარცვეს, რის გამო ამათ თავიანთ კონსულებთან დეპეშები აფრინეს, დაგვიფარეთ ძარცვა-გლეჯისაგანო. ალბად ამ დეპეშებმა იმოქმედა, რომ მესამე დღეს ადგილობრივ პოლიციის ხელით მიიღეს წართმეული ნივთები. 27 იანვარს, ღამის 12 საათზედ, 30-დის ყაზახი, როგორც ამბობენ, უფროსის ნება დაურთველად, ასულიყო ს. შუქრუთში. სოფელში დაიკარგა ქამრები, ჩექმები და სხვადასხვა ნივთები. ყაზახები ჩხრეკავდნენ გამვლელ-გამომვლელთ ვითომდა იარაღისთვის... ერთ დღეს სადგურზედ მდგომი სახალხო მატარებელი გაჩხრიკეს, იარაღი ვერავის უპოვეს, სხვა კი ბევრი რამ ნახეს...

1 თებერვალს დაიბარეს ახლო-მახლო სოფლები, რომელთაც გამოუცხადეს: „ნუ გვასწორებინებთ ბრალიანს და უბრალოს, მოგვეცით დამნაშავე კაცები, წითელი რაზმელები, იარაღი და სხვა, თორემ ამოვალთ სოფლებში და ქვას ქვაზედ არ დავტოვებთო“. ამაზედ უპასუხეს: „იარაღი ჩვენ ხელთ რაც იყო, მოგიტანეთ; ისინი, ვინც თოფები წაართვეს ჯარს, იარაღიანად სადღაც მიიმალნენ; წითელი რაზმელები ვინც იყო ჩვენში დარჩენილი, გამოგეცხადათ, მხოლოდ მათ იარაღი არა ჰქონიათ. რაც შეეხება აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს, აქაურები არც ერთი არა ყოფილან, ისინი შორიდან მოდიოდნენ და ისევ მიდიოდნენ. სახელი და გვარი იმათი ჩვენ არ ვიცით, ზოგი „მიხოს“ იძახდა და ზოგიც „პეტროს“; სახეზე ვიცნობთ და აწი თუ ვნახეთ, დავიჭერთ და წარმოგიდგენთო“.

ჯარის უფროსმა ვადად 5 თებერვალი დანიშნა, თუ მანამდი არ წარმოადგენთ ხალხს და იარაღი, ამოვალთ და სოფელს გადავწვავთო. ამ რიგად დაიშალნენ გლეხები, მაგრამ ვაი ამისთანა დაშლას: არ იყო გარანტია, რომ მათი სახლკარი არ გადაიწვოდა. ამის გამო დამფრთხალი გლეხები სამუშაოდ ვერ გასულან, ყველა თავის ცოლშვილს დარაჯობს და გავარდება ხმა თუ არა, ყაზახებმა ცხენები შეკაზმეს და სადღაც მიდიანო, ასტყდება დედაკაცებისა და ბავშვების წივილ-კივილი, ზოგი ბარგით მღვიმე-მაღაროებისაკენ გარბის, ზოგიც ტყისკენ. გავიდა 5 თებერვალიც და ჯერ არაფერი მომხდარა. ასეთია ჭიათურის ახლო-მახლო მდებარე სოფლების მდგომარეობა. ჯერ-ჯერობით და ვნახოთ რა იქნება შემდეგში.

იანვრის გასულს ს. რგანში დაუპატიმრებიათ იქაური მცხოვრები ვანო კავთელაძე, რომელსაც რაზმის მეთაურობას აბრალებენ, 5 თებერვალს რგანიდანვე ჩამოიყვანეს ყაზახებმა 4 კაცი, ესენი აღმოჩნდნენ: პორფილე მოსეშვილი, (ს. გუბელი), ლეჟავა, (ჯრიხაშელი), მიხ. შევარდნაძე, (ოზურგეთის მაზრის) და ერთიც რუსი სალდათი ტენგინის პოლკისა, ჩერქეზულად გამოწყობილი. ეს სალდათი, როგორც ამბობენ, მოსცილებია თავის ამხანაგებს, რომელნიც დატყვევებულნი იყვნენ, და იმალებოდა. ამბობენ, ესენი ჩხარისკენ მიდიოდნენ ფეხით და რგანელებმა დაიჭირეს და გადასცეს ყაზახებსაო. 5 თებერვალს ყაზახმა ყაზახი მოჰკლა თოფით ყაზახებისავე სადგომში. რა იყო მიზეზი, ჯერ არ გაგვიგია. საჩხერის მახლობლად ერთ სოფელში დაუწვავთ სამი სახლი, რადგან ეჭვი მიუტანიათ, რომ ამ სახლებში რაზმელები იყრიდნენ თავს.

მაღნებში აქა-იქ მუშაობა დაიწყო. ვაგონებით ქვა გადის, მაგრამ დღეში მხოლოდ 100 ვაგონი, რადგან დიდ გზაზე ვაგონებს არა სცალია ჯარის გადაყვან-გადმოყვანის გამო. ჭიათურის ბაზარი მტრის აოხრებულსა ჰგავს. მთელი ბაზარი, გარდა 3—4 სამიკიტნოსი, რომელიც გადარჩა დაწვას, დახურულია. ხსენებულ სამიკიტნოშიაც ხეირიანს ვერაფერს იშოვით, რადგან რასაც ნახავენ, დაურიდებლად მიაქვთ. დახურულ დუქნებზე ხშირად ნახავთ წარწერას: „ქირავდება, მსურველს იაფად დაუთმობ“, მაგრამ მოქირავე არსადა ჩანს. გენ. ალიხანოვის ოფიციალური ცნობები, ვითომ შორაპნის მაზრის ვაჭრებს სავაჭრო მოწმობები აეღოთ, ისე მართალია, როგორც მისივე ცნობა: „ჯარი კი არა, ხალხი აჩენს ცეცხლსაო“, რადგან შორაპნის მაზრაში მხოლოდ ორი დაბა იყო (ყვირილა და ჭიათურა), საიდანაც სავაჭრო მოწმობების ფული შესდიოდა ხაზინას. ყვირილაში ხომ ქვა-ქვაზე არ დაუტოვებიათ, და განა დამწვარ ნახშირისათვის აიღებენ ვაჭრები პატენტებს?!! ჭიათურა არის და თუ ასეთი პირობები იქნება, მგონი, არც აქაური ვაჭრები დაამტვრევენ ხაზინის კასას. ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში შესულა 80,000 მანეთამდის ყვირილიდან გატაცებულ ფულის შესავსებათ.

5 თებერვალს ს. გუნდაეთში მოუკლავთ მედავითნე გრიგოლ წერეთელი, რის გამო ამ დღეს ყაზახები გაგზავნეს. როგორც მოსალოდნელი იყო, სოფელში გაჩნდა ცეცხლი და გადამწვარა 4 მოსახლე. ჩხრეკასა და ძარცვასაც ვერ ასცდა სოფელი.

6 თებერვალს, დილა ადრიან, ეწვივნენ ს. მღვიმევს, იქაც მალე გაჩინეს ცეცხლი. დაიწვა ორი მოსახლე: გედევან გაფრინდაშვილი და მექია კვერნაძე. პირველს დაეწვა: სახლი, სამზარეულო, ბეღელი, სასიმინდე და კიდევ პატარა სახლი. ამათ თურმე აბრალებენ რაზმის წევრობას. აქვე ესროლეს ერთ მიმავალ კაცს სამჯერ, რომელიც შიშით სახლისკენ მირბოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ასცდა და ცოცხალი გადარჩა.

ლ. მ.—ლი

ქართლში

გორი. გორისა და დუშეთის მაზრის გენერალ-გუბერნატორის ბაუერის მუქარამა და სასტიკმა განკარგულებებმა გასჭრეს: მცხოვრებნი შიშის ზარმა აიტანა და მიჩუმდნენ. განახლდა სწავლა ყველა სასწავლებლებში, სადაც უკანვე აღარ მიიღეს ის მოსწავლენი, რომელნიც, სასწავლებლის მთავრობის შეხედულებით, მოთავენი იყვნენ გაფიცვებისა და ათასგვარ უკმაყოფილების გამოცხადებისა. სოფლებშიაც, სადაც ჯარმა გაიარა, სამრევლო და სამინისტრო სკოლებში სწავლა დაიწყო.

იმ სოფლებიდან, სადაც ჯარი ჯერ არა ყოფილა, ახლად გაწვეულნი ჯარის-კაცნი არ გამოცხადებულან, ხოლო დანარჩენ სოფლებიდან თითო-ოროლა დააკლდა. გენერალ-გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა ეცნობოს ყველა სოფლის მამასახლისს, რომ ახლად გაწვეულნი ჯარის-კაცნი 17 თებერვლამდე უეჭველად გამოცხადდნენ გორის სამხედრო საკრებულოში, წინააღმდეგ შემთხვევაში, სოფლები აკლებულ იქმნებიან.

4 თებერვალს გორში ჩამოვიდნენ გორის მაზრის ყოფილი ბლალოჩინები. ესენი დაუბარებინა გენერალ-გუბერნატორს, რომელსაც 5 თებერვალს, დილით გამოეცხადნენ. გენერალ-გუბერნატორმა დაავალა მათ: დაუყოვნებლივ შეუდექით ბლალოჩინობის მოვალეობის აღსრულებასაო. ამაზე მღვდლებმა უპასუხეს, ჩვენი გადადგომა ბლალოჩინობიდან—სურვილი იყო გორის მაზრის ყველა მღვდლებისა და ჩვენც ასე მოვიქეცით; თუ იგივე მღვდლები, რომელთაც ბლალოჩინობიდან დაგვითხოვეს, ხელ-ახლა გვინდომებენ და მიგვიწვევენ, ჩვენ მხოლოდ მაშინ შევუდგებით ძველის თანამდებობის აღსრულებასაო.

გენერალ-გუბერნატორმა აგრეთვე დაავალა მღვდლებს, რომ კვირა-უქმეების გარდა, სხვა დღეებშიაც სწირონ ხოლმე და ხალხს დაარიგონ, რომ სოფელში კვლავ „დამყარდეს წესიერება და მშვიდობიანი ცხოვრებაო“. დასასრულ გენერალ-გუბერნატორმა გამოუცხადა: ჩემს ყურამდე მოაღწია, რომ ზოგიერთი მღვდლები ქრისტიანულ დარიგების მაგიერ გლეხთა შორის ეწევიან მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციასაო; დღემდე მღვდლები დაუსჯელად ხმარობდნენ თავიანთ ხარისხს ბოროტად, მაგრამ დღეს იქით სასტიკად დავსჯი ასეთ მღდელს და საზოგადოდ ისე მოვეპყრობი, როგორც ერის კაცსაო.

როგორც გავიგეთ, სადგურ გომიდან 6 თებერვალს, დილით, ჯარი გამგზავრებულა სოფ. ატოცისა და ოქონისაკენ. ჯარი ამ სოფლებში უნდა მისულიყო მეორე დღეს, მაგრამ იქ რა მოხდა, ჯერ გაუგებარია.

სურამიდან ჩამოსულთა სიტყვით, იქ 27 იანვარს, ღამით, გადაუწვავთ კოლა მოისეევის დუქანი. 5 თებერვალს დაბეზღებით დაუჭერიათ ადგილობრივი აზნაური ა. მურვანიშვილი, რომელსაც წითელ რაზმში მონაწილეობას აბრალებენ. ჯერ უცემიათ და შემდეგ ციხეში გაუსტუმრებიათ. საზოგადოდ, ენა-ტანია კაცთა რიცხვი იქ ძალიან გაძლიერებულა. **კ.—ლიძე**

ახალი ამბავი

✦ **კიდევ ნამესტნიკის შესახებ.** უცნაურ ამბავს გადმოგვცემენ სატახტო ქალაქის გაზეთები იმათის სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკად ინიშნება ყველასათვის კარგად ცნობილი გენერალი ალიხანოვი, რომელიც ამ ჟამად დასავლეთ საქართველოში მძვინვარებს. ამას გარდა, კავკასიაში გენერალი ტრეპოვიც იგზავნება „ამბოხების“ საბოლოოდ ჩასაქრობადაო. ეს ამბავი ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთო, დასძენენ გაზეთები.

✦ **რაჭა ლეჩხუმში.** რაჭა-ლეჩხუმიდანაც სამწუხარო ამბავი მოდის. როგორც ჩამოსულთ გადმოგვცეს, რამდენსამე სოფელში გადასწვეს თურმე სახლები და სხვა ზარალი მიაყენეს მცხოვრებთ. სხვათა შორის, ცაგერში გადამწვარა რვა სახლი, ახალ ქალაში დუქნები, ქვეისში რვა სახლი. გადამწვარია აგრეთვე სახლები: პატარა ონს, ნიკორწმინდასა, ხოტევსა და თულუხში.

✦ **ქარხნის პატრონნი ფულს თხოულობენ.** როგორც ავღნიშნეთ, ხმა დადის, რომ ბორჩალოს მაზრაში სამხედრო წესები იქმნება შემოღებული. ამბობენ, ადგილობრივი მაზრის უფროსი რიაზანოვი გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ დაინიშნებაო. ორი როტა ორის ზარბაზნით უკვე გაუგზავნიათ. შეიცარიის ყველის ქარხნის პატრონნიო, შადინოვი, მელიქ-ბახტამიანი, ტერგრიქუროვი, აკოფოვი და ძმ. მათეზოვიანნი თავიანთ ზარალს სომეხ-თათართა შეტაკებისაგან ორ მილიონ მანეთამდე ანგარიშობენ. იმათ უკვე აღუძრავთ შუამდგომლობა ამ ზარალის ანაზღაურების შესახებ. მაზრის უფროსი რიაზანოვი თავისით შუამდგომლობს, ქარხნის პატრონთ ერთი მილიონი ხაზინიდან მიეცეთ, ხოლო ერთი მილიონი ადგილობრივ მკვიდრთ გადახდეს.

✦ **გენერალ-გუბერნატორის განკარგულება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორმა შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა ჯარის უფროსებს; ამით გავალებთ ძალიან ჩქარა მაცნობოთ, 1905 წელს სამხედრო ბეგრის მოსახდელ ყმაწვილ კაცთაგან 10 თებერვლამდე რამდენი კაცი გამოცხადდა გარნიზონის თვითოეულ ნაწილში.

✦ **სამსონ ფირცხალავას განთავისუფლება.** გუშინ, 10 თებერვალს, მეტეხის საპყრობილიდან გაანთავისუფლეს ჩვენი გაზეთის თანამშრომელი სამსონ ფირცხალავა.

✦ **მღვდლის შეპყრობა.** როგორც სურამიდან გვატყობინებენ, იქ შეუპყრიათ ადგილობრივი მღვდელი ბებიაშვილი.

✦ **კონსტ.-დემოკრატთა კრება.** გუშინ, 10 თებერვალს, ტფ. საარტისტო საზოგადოების დარბაზში, თავ. გ. მ. თუმანოვის თავმჯდომარეობით მოხდა მეორე კრება კონსტიტუციონალისტ-დემოკრატიულ პარტიისა. დაესწრო 102 კაცი. კრებას უნდა აერჩია ბიურო. პირველად შეეხნენ იმას, თუ რა უნდა დაევალოს ბიუროს. თავმჯდომარის აზრით, ბიურომ უნდა უმთავრესად პროპაგანდა გასწიოს და მოემზადოს არჩევნებისთვის, ბიუროს თათბირი ჰქონდეს, სთქვა თავმჯდომარემ იმის შესახებ, რომ პარტია რომელსამე გამოცემას დაუახლოვდეს; ასეთ ორგანოდ გაზ. „ნოვ. ობოზრენიე“ სცნო. კამათის დროს ბ-ნი გვაზავა შეეხო საინტერესო საკითხს—რას ფიქრობს პარტია კავკასიის შესახებ. უნდა გამოვარკვიოთ, რა მოვითხოვოთ სათათბიროში კავკასიისთვის და კერძოდ თვითეულ ერისთვისაო. ორატორის აზრით, დაწვრილებით უნდა გამოირკვეს საკითხი ავტონომიის შესახებ. ამაზე თავ. გ. მ. თუმანოვმა სთქვა, რომ პროგრამაში აღიარებულია ფართო თვითმმართველობა და აქედან დელეგატების კრებაა დანიშნული და აშკარადა სჩანს, რა მიეცემა მცხოვრებთ. ყოველ შემთხვევაში, თუ გნებავთ, ეს საკითხი ახალ ბიუროს გადავცეთ განსახილველადო. გვაზას მიემხრნენ ბ-ნ მელიქ-ალავერდოვი, ექიმი ვართანოვი და ა. ბაბოვი, პ. მ. დოლუხანოვმა სთქვა, ეს საკითხი არ აღიძრა იმიტომ, რომ იგი უთანხმოებას გამოიწვევს, ეს-კი სასურველი არ არის, რადგან არჩევნებისთვის უნდა მოვემზადოთო. ავტონომიის შესახებ ყველას ჩვენი შეხედულება გვექნება და როცა სახელმწიფო სათათბიროში შევალთ, იქ ვეცდებით ჩვენი გავიტანოთო. კრებამ დაადგინა, დაავალოს ახლად ამორჩეულ ბიუროს შეიმუშაოს საკითხი კავკასიის თვითმმართველობის შესახებ. შემდეგ თავმჯდომარემ სთქვა, ეხლა არჩევნებს უნდა შეუდგეთ და ამიტომ ვსთხოვ, ვინც პარტიაში არ ჩაწერილა, ნუ მიიღებენ მონაწილეობასაო. ა. ბაბოვი პრო-

ფელეტონი

პატარა ამბების მაგიერი

შიშის მეფობა.—სიყვარული, შიშით დათესილი.—ნიმუშები.—ჩვენში არ მოიძებნება!—ვაი იმას, ვინც არ გაიგონებს!

რასა გრძნობ, მკითხველო, როცა ქუჩაში დადიხარ?—შიშსა. რასა გრძნობ, როცა სახლში მშვიდობით ბრუნდები?—შიშსა. რასა გრძნობ, როცა ლოგინში წვები დღიურ ვარამისაგან მოქანცული?—შიშსა, შიშსა და შიშსა.

შენი დღევანდელი ცხოვრება—შიშია, შიშია დაუსრულებელი.

ცხოვრება მოიწამლა შიშის შხამით; ცხოვრება წამებად, ნელ წამებად გადაიქცა. ყველას ერთი კითხვა სულთამხუთავსავით თავს ადგა და დასჩხავის: „ცოცხალი დარჩები, თუ განისვენებ წიაღსა შინა აბრაამისასა?“ ვერავის გადაუწევია მომავალის ფარდა, ვერავის გამოუცვნია, რას უქადის გათენებული დღე ან დაღამებული ღამე, და, თრთის, კანკალებს...

შიში გამეფდა ცხოვრებაში. შიშმა დაიმორჩილა დიდი და პატარა; მხდალი და გულადი; ყურმოჭრილი მონა და ბატონი. შიში ცხოვრების შინაარსად გახდა.

გაჰქრა, ვითა ტკბილი სიზმარი, ნეტარი ჟამი, როცა ცხოვრების ბრწყინვალე ტახტზე იჯდა გულადობა.

გაჰქრა ნეტარი ჟამი, როცა გული კანკალებდა გმირულ საქმის წყურვილისაგან, როცა კაცი დაუძლეველ გოლიათად სთვლიდა თავის თავს.

გაჰქრა და შავბნელის უკუნით დაიფარა.

ვინ გაამეფა შიში? ვინ არის იმისი გულმოდგინე ქვეშევრდომი?

ძველი ნაცნობი, მკითხველო, კარგი ნაცნობი: რუსეთის ბიუროკრატია, რუსეთის კეთილისმყოფი ბიუროკრატია!

ვიღაც სულელმა ადამიანის, განსაკუთრებით რუსეთის სივრცეზე მცხოვრებ ადამიანის ბუნების არ მცოდნემ ურჩია, რომ სჯობს ყმების გულის მოგება სიყვარულით, ალერსით და არა შიშითაო, ვიღაცა ტუტუცმა დაარწმუნა, რომ სჯობს ბატონის და ყმის შორის ნდობა სუფევდეს, ვიდრე ურთიერთი სიძულვილი და უნდობლობაო.

შესცდა ერთხელ; ერთხელ სხვას დაუჯერა და ეხლა ნანობს სხვისა თათბირმა და რჩევამ ცუდი ნაყოფი მოიტანა: სიყვარულის მაგივრად წინანდელზედ ძლიერი სიძულვილი გამოიწვია.

შეაფურთხა ეშმაკს, მაცდურ მოთათბირეს და კვლავ ძველი გზა მოძებნა, მამა-პაპისაგან შეწყნარებული და დალოცვილი.

„შიში შეიქმს სიყვარულსო“, ღაღადებს მამა-პაპათა სიბრძნე. მთელი საუკუნოები ხელმძღვანელობდნენ მამა-პაპანი ამ სიბრძნით და ერთხელაც არ უნანიათ: „შიშკაზედ მშვიდობიანობა იყო“.

ბიუროკრატია გაბრიყვდა და ნაცად გზას აუხვია და კიდეც დაისაჯა.

არა და არა: „შიში შეიქმს სიყვარულსა“, მხოლოდ შიში.

დაიწყო ბიუროკრატიამ სიყვარულის თესვა, ღრმად მოხნა რუსეთის გული, ძირიანად ამოგლიჯა ღვარძლი, უხვად მორწყო წითელი სისხლით ხნული და მშვენიერ შიშის ყანა დააბიბინა, ყანა თვალ უწვდენელი.

დანტეს კალამი უნდა მქონდეს, რომ შესაფერად აღვწერო ახალი ჯოჯოხეთი, ბიუროკრატიის მზრუნველ ხელით გაშენებული.

მსურს ახალი ჯოჯოხეთი დაგიხატო, მკითხველო, მაგრამ მეშინიან სურათი მკრთალი არ გამოვიდეს. მაშინ ხომ სიყვარულის მაგივრად შენ გულში სიძულვილი გაჩნდება, მე კი დავპირდი ბიუროკრატიას შიშით სიყვარული გაგიღვიძო, მეცა მსურს ამოძრავებულ ხალხის დამშვიდება.

რაც იქნება, იქნება, ვცდი!

**

ცხრა მთას იქით, განა ჩვენ სახელმწიფოში, სადაც ჯერაც კაცი-ჭამიები სცხოვრობენ, მეფობდა მომრიგებელი შუამავალი უბრალო მომრიგებელი შუამავალი. არც დიდი „ჩინი“ ჰქონდა, არც დიდი ორდენი, მაგრამ მაინც დიდი კაცი იყო. ხუმრობაა ადამიანების მორიგება! დიდი საქმეა და ამიტომ ხსენებული შუამავალიც დიდი კაცი იყო.

როცა რუსეთში შიშის სამეფო შეირყა, შუამავალი უფრო დიდ კაცად გადაიქცა. პან მიითვისა უფლება სიკვდილისა და სიცოცხლისა. აქედან იწყება მისი ბრწყინვალე მეფობა და ერთგული სამსახური შიშის შერყეულ ტახტისათვის.

ერთხელ მოსარიგებლად გაემზადა. უფრო გულის დასამშვიდებლად, ვიდრე სხვა საქმისათვის, უბრძანა, ეტლში თოფი ჩაედოთ.

აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ: თოფი თავის ალაგას აღარ ეკიდა...

—მოუპარავთ,—სთქვა განრისხებულმა მომრიგებელმა.—იპოვეთ!—მოსჭრა აღშფოთებულმა შუამავალმა.

დაბა სლავუტაში, ვოლინის გუბერნიაში, სცხოვრობდა მთავრობის ნებართვით, პატარა კაცი, ივანე ლემპერი.

ვინ მოიპარავდა თოფს, თუ არა ივანე ლემპერი? იმას თოფი არა ჰქონდა, მომრიგებელ შუამავალს კი კედელზე ეკიდა. ეჭვი არ არის, ლემპერმა მოიპარა.

—შენ მოიპარე თოფი?

—არა.

მოიტანეს რეზინის ჯოხი და დაიწყეს შიშით სიყვარულის ტანში ჩანერგვა.

—შენ მოიპარე თოფი?

—არა.

გულადმა დააწვინეს ურჩი. გულზე ფიცარი დაადეს (არ ეტკინოსო!) სასწორის ქვები ხელში აიღეს.

ერთი... ორი... სამი... ოთხი...

—სად დამალე თოფი?

—არც დამიმალავს, არც მომიპარავს.

ლემპერს თოფი არა ჰქონდა; იმის მეტი არავინ არ მოიპარავდა; მალავს.

დაამზადეს სიყვარულის ჩასანერგი ახალი იარაღი: მათრახები ლურსმებით და ქინძისთავებით. დაამზადეს ლემპერის თვალ-წინ, მაგრამ არ იხმარეს: დრო მისცეს მოსაფიქრებლად... ფიქრობს ლემპერი. თოფი იმას არ მოუპარავს, ეს ნამდვილად იცის. სხვაზე უჩვენოს? რა გამოვა: სხვას მომრიგებლის თოფს ვერ უპოვნიან. ფიქრობს ლემპერი, ხედავს, რომ უკანასკნელი დღე დადგა, ხსნა აღარსაიდან არის. გადასწყვიტა სიკვდილი.

—მშვიდობით, ძმობილო,—ეუბნებოდა ერთ სალდათს სიკვდილის წინა დღეს,—ხვალ სიკვდილი მომელის: „იმათ“ მათრახები მოამზადეს, ლურსმებით და ქინძისთავებით.

გათენდა დღე. დაიწყო წამება. ივანე ლემპერმა სული დალია.

განვლო ხანმა.

—რა ჯიუტია ზოგიერთი კაცი,—ეუბნებოდა მომრიგებელი შუამავალი ერთ თავის მეზობელს,—აი მაგალითი. ხომ იცი, რომ მე თოფი მქონდა, მომპარეს. ქურდი ვიპოვეთ. როგორ არ ვაწამეთ, წამებაში სული დალია, მაგრამ მაინც არ გამოტყდა...

—დაიცა, რომელი თოფი მოგპარეს? განა შენ ორი თოფი გქონდა?

—არა, ერთის მეტი არა მქონია.

—ის თოფი ხომ ჩემთან დაგავიწყდა ამას წინად, ჩემსას რომ იყავი...

„ივანე ლემპერს თოფი არა ჰქონდა, იმის მეტი არავინ არ მოიპარავდა!“

**

პოლკოვნიკი რიმანიც მოტრფიალეა მამა-პაპურ სიბრძნისა. იმასაც სწამს, რომ „შიში შეიქმს სიყვარულსა“ და სცდილობს.

მე ვფიქრობ, რომ პოლკოვნიკი რიმანი, სანამ პოლკოვნიკობას მიიღებდა, ჯადოსანმა ჯოჯოხეთში გაგზავნა ივანე მრისხანეს

ტსეტს აცხადებს. ნება არა გაქვთ აქედან წასვლა მომთხოვოთ, რადგან მე პარტიის წევრი ვარ, მაგრამ მეორე ფრაქციას ვეკუთვნით. ბაბოვი ცხარედ ლაპარაკობდა, ბევრს მოთმინება დაეკარგა, იძახდნენ, „კმარა, კმარა ამდენი ლაპარაკი.“ ა. ბაბოვმა ხმა აღიმაღლა და სთქვა: სირცხვილი მათ, ვინც მაჩუმებს! ეგ არის თქვენი „სატყვის თავისუფლებაო?“. შემდეგ შეუდგნენ ბიუროს წევრების არჩევას. არჩევანში მონაწილეობა მიიღო 70 კაცმა, ხოლო სხვანი კრებიდან წავიდნენ. ბიუროს წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. გ. მ. თუმანოვი, თავ. ვ. ს. მიქელაძე, თავ. პ. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი, გ. ზ. გვაზავა, ა. ა. ქალანთარი, პ. მ. დოლუხანოვი, პედაგოგი ხაჩინიაევი, პედაგოგი ბლატოვი, პ. ყარამურზა, ი მ. დოლუხანოვი, სემიონოვი და თავ. ა. მ. სუმბათაშვილი. კანდიდატებად აირჩიეს: კაზაკოვი, მელიქ-ალავერდოვი, ფლორენსკი, გ. ნ. სტეფანოვი, ვ. სოკოლოვი, კლემენტიევი და ი. ა. ხატისოვი.

✦ **ახალი გაფლანგვა.** ამიერიდან ცნობილ ხაზინადარს არდაზიანს კვლავ აღმოაჩნდა ახალი გაფლანგული ფული, 700 მანეთი. ეს ფული სანთლის ქარხანას უნდა გაეგზავნა სამღვდელოებისათვის, მაგრამ არდაზიანს მოუწერია ოფიციალური ქაღალდი, კანტორას გამოუგზავნეთ და ის დაუგზავნის სამღვდელოებასაო. მართლაც მოსულია ეს ფული, მაგრამ სამღვდელოებისათვის აღარ გაუგზავნია და თვითონ აუღია, წიგნებშიაც კი არ შეუტანია.

✦ **„ნოვოე ობოზრენიე“.** ტფ. გენერალ-გუბერნატორმა ნება დართო „ნ. ობ.“-ს რედაქტორს, 14 თებერვლიდან განაახლოს გაზეთის გამოცემა.

✦ **მკვლელობა.** როგორც ხონიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში იქ მოუკლავთ ქუთათელაძე.

✦ დღეს, ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზე **ახალგაზდა მსახიობთა საბენეფისოდ** წარმოდგენილი იქნება შექსპირის 5 მოქმედებიანი ტრაგედია „ჰამლეტი“. მონაწილეობს მთელი დასი. უმთავრეს როლებს შეასრულებენ: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, გედევანიშვილი, ვ. აბაშიძე, ყიფიანი, გუნია, ტასო აბაშიძე.

პრესსა

საინტერესო ცნობაა მოთავსებული გაზეთ „ნაშა ჟიზნ“-ის ტფილისელ კორესპონდენტის წერილში, რომელიც ეხება სამხედრო პარტიის მოქმედებას ტფილისში:

„სამხედრო პარტიამ ისარგებლა გენერალ გრიაზნოვის მოკვლით, რომ სრულიად გაბატონებულიყო; მან გაჰმართა რამდენიმე მიტინგი ადგილობრივ შტაბის სადგომში და სხვა და სხვა რეზოლიუციები მიიღო; სხვათა შორის, აფიცრები თხოულობდნენ: ნამესტნიკის თანაშემწის სულთან-კრიმ-გირიეს გადაყენებას მის ლიბერალობისათვის, აგრეთვე პოლიციის უფროსის გენ. შირინკინის გადაყენებასაც—საკმაოდ ენერგიულ ღონისძიებას არ ხმარობს რევოლიუციონერების წინააღმდეგო, ქუთაისის გუბერნატორის სტაროსელსკის დატუსაღებას სოციალისტებთან მეგობრობისათვის, გრიაზნოვის მკვლელის ჩამოხრჩობას საჯაროთ ერევნის მოედანზე და სხვა. ამავე პარტიამ გადაწყვიტა იარაღი ჩამოერთმია ქალაქის მცხოვრებლებისათვის სამის დღის განმავლობაში, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს, რადგან ადგილობრივ ხულიგანებისა და ავაზაკებისაგან თავის დაცვა აღარ შეეძლება უიარაღო ხალხს.

ამავე პარტიამ მოითხოვა ვარანცოვ-დაშკოვის გადაყენებაც. და ვარანცოვ-დაშკოვმა, იმის მაგიერ, რომ დაეტუსაღებინა და სამართალში მიეცა არა მკითხედ დიქტატორები, გადასწყვიტა სიტყვის შეუბრუნებლად აესრულებია აფიცრების მოთხოვნები.

* *

მოსკოვის გაზეთ „ვეკ“-ში მოთავსებულია ბ-ნის ხახანაშვილის წერილი საქართველოს ამბების შესახებ. ბ-ნი ხახანაშვილი სწერს:

კავკასიის მშვენიერებით მოხიბლულს სათილისმო პოეტს ლერმონტოვს რომ ჩვენ დრომდე ეცოცხლა, ის ეხლა უეჭველად უარს იტყოდა იმ სიტყვებზე, რომლითაც დახასიათებული აქვს მას საქართველო „მწირში“: „წყალობა ღვთისა ჰფენია საქართველოსო“. ამ პოეტის ამაღფრთოვანებელი საქართველო, სამეგრელო და გურია ამ ჟამად ცეცხლის საბატონოდ არის გადაქცეული. მომხიბლველი ქვეყანა უდაბნოდ გადაიქცა. ქალაქები და სოფლები იწვიან, მცხოვრებნი ანებებენ თავს საკუთარ სახლ-კარს და გარბიან...

გენერალი ალიხანოვი, ეს ახლად მოვლენილი ატილლა, უკანასკნელსავით კავკასიის მტრად გადაქცეული, არა კაცობრიულის სისასტიკით იძიებს შურს მცხოვრებლებზე, რომელთაც ქედი არ მოიხარეს რეაქციის წინაშე და რაინდულის ქველობით იწყეს დაცვა 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებულ ოთხის თავისუფლებისა. ალიხანოვმა ცეცხლითა და მახვილით გაიარა ბაქოს და ერევნის გუბერნიები და ეხლა ამავე აზიურ ტირანების გამანადგურებელ და სისხლიანის ტაქტიკით შეესია ქუთაისის გუბერნიას... ძალმომრეობამ ხალხი უკიდურესობამდე მიიყვანა. ხალხი მუხლ-მოდრეკილი სთხოვს სასტიკს დიქტატორს დანდობას. იარაღ-ახდილ ხალხის დატუსაღება, დარბევა და დახვრეტა ვერ აკმაყოფილებს სისხლის ინსტინქტებს: გენერალი ალიხანოვი ითხოვს მცხოვრებთაგან, დაუყოვნებლივ შეიტანონ ყვირილის ხაზინაში 248,000 მან., ქუთაისში მოკლულ ბოჭკაულის ოჯახობის უზრუნველ საყოფელად თხოულობს დაუყოვნებლივ 20,000 მანეთის წარდგენას. სიცოცხლე მოისპო, ყველა შიშმა შეიპყრო. შახ-აბაზის და მაჰმადხანის დრო მკრთალია იმ უბედურებასთან შედარებით, რომელსაც ეხლა განიცდის საქართველო...

...ახლო მომავალი გამოარკვევს, რომ ქართველი ხალხი მხოლოდ იცავდა საზოგადოებრივ განმათავისუფლებელ მოძრაობას და ეხლანდელ იმისი დასჯა სამარცხვინო ბეჭედს დააჩნევს სახელმწიფოს, რომელმაც ვენერლების ალიხანოვის და ბაუერის ხელში ჩააგდო ბედ-იღბალი ამ მშვიდის რუსეთის ინტერესებისათვის ერთგულის ხალხისა.

მართალია ბ-ნი ხახანოვი. ეხლანდელი ამბავი სამარცხვინო ფურცლები იქმნება რუსეთის სახელმწიფოს ისტორიისა, მაგრამ ძველ, თვითმპყრობელ-ბიუროკრატიულ რუსეთისათვის და არა მომავალ განახლებულ და განთავისუფლებულ რუსეთისათვის.

საზღვარ-გარედ

მაროკოს საქმე. სამ კვირაზე მეტია ესპანიის პატარა ქალაქ ალჟესირასში ევროპის ყველა სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენციაა გამართული. საგანი კონფერენციისა ოფიციალურად „მაროკოს რეფორმებია“: მაროკო გაუნათლებელი, შედარებით ველური ქვეყანაა და განათლებულმა ევროპამ იქ წეს-რიგი უნდა დაამყაროს და კულტურა შეიტანოს. მაგრამ ეს არის მხოლოდ ოფიციალური საგანი კონფერენციისა; ნამდვილად კი განათლებული სახელმწიფონი მხოლოდ თავის თავზე ჰფიქრობენ: მაროკო მართლა გაუნათლებელი და ნახევრად ველურია, ამიტომ იგი ერთობ სუსტიც არის და, როგორც ვიციით, სუსტი ყოველთვის ძლიერის ლუკმა ყოფილა — მაროკოსაც გადაყლაპვას უქადიან განათლებული სახელმწიფონი და თუ სათათბიროდ შეკრებილან, მხოლოდ იმის გადასაწყვეტად, თუ ვის რა ლუკმა ერგოს.

მაროკო ჩრდილოეთ აფრიკის დასავლეთ კუთხეში მდებარეობს; იგი ერთად-ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელიც გადურჩა დღემდე ევროპიელების გაუმაძღრობას. ეხლა მაროკოს განკითხვის დღეც დადგა და სამწუხაროდ, თვითონ მაროკოელები არიან ამის მიზეზი: არ იქნა, არ უღალატეს ძველ ადათსა და წესს, ისევ ძველებურად ველურად სცხოვრობენ, ისევ ხშირია სისხლის ღვრა და ავაზაკობა და რაკი ასეთი მუდმივი არეულ-დარეულობა მაროკოს მეზობლებისთვისაც საზარალოა, ესენი სარგებლობენ ამით და მაროკოს შინაურ საქმეებში ერევიან. მაროკოს საუბედუროთ, მისი მეზობელი ალჟირი ძლიერ საფრანგეთის სამფლობელოა და საფრანგეთის რესპუბლიკაა, რომ ბოლოს მოღებას უპირებს მის დამოუკიდებლობას. საფრანგეთს კარგა დიდ ჯარს მოუყარა თავი მაროკოს საზღვარზე და ამ ჯარით ზურგ გამაგრებული ელჩი რესპუბლიკისა უფრო და უფრო ავრცელებდა საფრანგეთის გავლენას. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ დელკასემ, რომელიც რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრად იყო, სრული დასაკუთრება მოუნდომა მაროკოს: ინგლისთან შეთანხმდა და მაროკო „საფრანგეთის გავლენის სფეროდ“ გამოაცხადა. ეს გერმანიის იმპერატორს არ ეპაჩნიკა: გერმანულ ვაჭრებს მაროკოში დიდი საქმეები აქვთ, გარდა ამისა რესპუბლიკის ასეთი დიპლომატიური გამარჯვება გერმანიის იმპერიის სახელის დაცემად მიიჩნევს ევროპაში და ვილჰელმ II-ის მეცადინეობით საქმე ისე დატრიალდა, რომ დელკასე იძულებული გახდა მინისტრობიდან გადამდგარიყო. ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა სრულიად ევროპის კონფერენციის მიწვევა მაროკოში საჭირო „რეფორმების შემოსაღებად. მაგრამ, როგორც სჩანს, ეს კონფერენცია სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანს: საფრანგეთს გადაწყვეტილი აქვს უთუოდ უპირატესობა ჰქონდეს მაროკოში, გერმანია კი ამის წინააღმდეგია — ყველას თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეს მაროკოს სუფრაზედო. საქმე ძალიან გამწვავებულია და ერთ-ერთი მოცილეთაგანი (საფრანგეთი ან გერმანია) რომ რუსეთის მზგავსი სახელმწიფო იყოს, შორე-აღმოსავლეთისებური ავანტიურა დაიწყებოდა. მაგრამ ამ სახელმწიფოების მთავრობანი დამოუკიდებლად, ხალხის დაუკითხავად ვერ იმოქმედებენ და ხალხი კი სულით და გულით წინააღმდეგია ომისა. ამიტომ იმედია, რომ მაროკოს გამო ომი არ ატყდება. საფიქრებელია, რომ არც შეთანხმება მოხდება და მაროკოს საერთაშორისო მდგომარეობა წინანდებური იქნება. მაროკო რომ ამით ისარგებლებდეს, შინაგან წესიერებას თვითონ აღადგენდეს და შეუდგებოდეს ევროპის განათლების თანდათან შეძენას, მაროკოს საკითხიც საუკეთესოდ გადაწყდებოდა. ყოველი ჩამორჩენილი ქვეყანა მანამდეა კულტუროსან ევროპის სამსხვერპლოდ გაწირული, სანამ თვითონ არ დაადგება კულტურისა და განათლების გზას.

რუსეთი

ამნისტიის მოლოდინი. გაზ. „სლოვო“-ს გაუგია სარწმუნო წყაროებიდან, რომ ახლო მომავალში გამოაცხადებენ ამნისტიას ბეჭდვითი სიტყვის საქმეებისთვის დაპატიმრებულთათვის.

ხმები ყაზახთა დათხოვნის შესახებ. „გაზ. „ვეჩ. გოლ.“-ს აუწყებენ სარწმუნო წყაროებიდან, რომ 15 მარტისათვის ყაზახთა ყველა ნაწილები, რომელნიც სატახტო და საგუბერნიო ქალაქებში მოქმედებენ, უეჭველად დათხოვნილნი იქმნებიან. დონის ოლქში შიმშილობა იწყება, რადგან მამაკაცი მუშები ძალიან ცოტანი არიან. ყაზახთა სტანიცებმა თხოვნა შეიტანეს ყაზახების სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

დურნოვოს სამსახურიდან გამოსვლის შესახებ. პეტერბურგში ხელ-ახლად დადის ხმა შინაგან საქმეთა მინისტრის დურნოვოს სამსახურიდან გადადგომის შესახებ. იმის მოადგილედ ასახელებენ იმის ამხანაგს თავ. ურუსოვს და სარატოვის გუბერნატორს სტოლიპინს.

ერმოლოვის საქმე. როგორც გაზეთ „რუს“-ს გაუგია, პრივატ-დოცენტ ვოროპინოვის მკვლელის ერმოლოვის საქმე მინისტრ აკიმოვას უკვეშეურდომილეს მოხსენების შემდეგ მოუსპიათ.

ჟურნალის აკრძალვა გამოსვლამდის. პეტერბურგის სტამბების ინსპექტორს მიუღია საიდუმლო მოწერილობა, არ მისცეს ნება იმ ახალ ჟურნალის გამოცემისა, რომელიც დახურულ ჟურნალის „რუსსკოე ბოგატსტვო“-ს მაგივრად უნდა გამოვიდეს.

პატიმართა მდგომარეობა. მოსკოვის საპყრობილეებში სახადი მძვინვარებს. სანახავად მოსულთ ეუბნებიან, თქვენი ნათესავები ბარაკებში არიანო. ერთ დაპატიმრებულ მუშასთან მოსულ ცოლს მხოლოდ კუბო დახვდა, რომელშიაც იმის ქმრის გვამი ესვენა. ადმინისტრაცია ეხლა უშვებს ბარაკებში ხალხს თავის ნათესავების სანახავად, მაგრამ ექიმები ეწინააღმდეგებიან.

საყურადღებო განმარტება. უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ პოლიტიკურ საქმეების გარჩევის დროს უნდა დაცულ იქმნას 1864 წლის სასამართლო წესდების ძირითადი საფუძველი, ე. ი. საქმე უნდა საჯაროდ ირჩეოდეს. ხალხის დაუსწრებლად საქმის გარჩევა საგანგებო ზომად ითვლება და სასამართლო ვალდებულია ყოველ ამ გვარ შემთხვევაში თავისი საბუთები წარადგინოს ხოლმე.

სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის ვადა. ხმა დადის, ვითომ 18 თებერვალს გამოიცემა ბრძანება სენატისადმი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ. ვადად დაინიშნება ან 15 ან 18 აპრილი. ამბობენ აგრეთვე, ამ ბრძანების გამოცხადებამდის რეპრესსიებს ბოლო მოეღებაო.

გლეხების ჩივილი. გრ. ვიტტეს გლეხებისაგან დიდძალი საჩივრები მოსდის თურმე. ატყობინებენ, ადგილობრივი მთავრობა ნებას არ გვაძლევს კრებებზე რწმუნებულნი ავირჩიოთო. ადმინისტრაცია გლეხების ნაცვლად თვითონ ირჩევს თურმე რწმუნებულთ. მკითხველი ადვილად მიჰხვდება, ვინ მოჰყვებიან სახელმწიფო სათათბიროში.

ანათემის გამოცხადება. იაროსლავიდან ატყობინებენ „ნ. ჟ.“-ს: „იგუმენმა არსენიმ წირვის შემდეგ სამჯერ წარმოსთქვა ანათემა რევოლიუციონერებისადმიო“.

კრასნოიარსკის ამბები. 2 იანვარს რკინის გზის სახელოსნოებში გამაგრდა 300 მუშა და 250 სალდათი. მიზეზი მუშების და ჯარის ამგვარ საქციელისა იყო სამხედრო წესების გამოცხადება 28 დეკემბერს. ამ დრომდის ქალაქში მშვიდობიანობა იყო. ქალაქი რევოლიუციონერთ იმ აზრით ჩაიგდეს ხელთ, რომ ღამ-ღამე ქალაქი დაეცვათ, რადგან სახალინიდან გაქცეულნი ხალხსა სძარცვავდნენ. სამხედრო წესების გამოცხადების შემდეგ კი არც ერთ ღამეს არ ჩაუვლია მშვიდობიანად. გუბერნატორის გადაყენებაზე არავის არ უფიქრია. რევოლიუციონერებმა გადასწყვიტეს მხოლოდ ახალ საბჭოს არჩევა საყოველთაო, პირდაპირი და ფარულ კენჭის ყრით. ქალაქში ამ ამბავს ბევრი თანაგრძნობით მიეგება, რადგან იცოდნენ, რომ ამგვარ საბჭოს დიდი გავლენა ექნებოდა ყველაზე და მშვიდობიანობას ჩამოაგდებდა.

გენერალ-გუბერნატორიც სასტიკ ზომებს აგვიანებდა და მხოლოდ ჯარი შემოარტყა გარს დეპოს. ექვსი დღე იყვნენ ასე ალყაშემორტყმული მუშები და რკინის გზის ბატალიონის ჯარის-კაცები. ექვსის დღის შემდეგ კი სროლა ასტყდა. ამბობენ, მიზეზი სროლისა უბრალო შემთხვევა იყო: წყლის მილი გამსკდარიყო და ჯარს ეგონა, დეპოდან თოფი გვესროლესო. ასტეხეს ტყვის მტყორცნელების სროლა. დეპოდან დიდხანს პასუხს არ აძლევდნენ. მხოლოდ, როდესაც რამდენიმე კაცი დაიჭრა, მაშინ ასტეხეს იქიდანაც სროლა. 8 კაცი დეპოში დაიჭრა და 2 ჯარის-კაცი მეალყე ჯარიდან მოიკლა.

8 იანვარს კრასნოიარსკში მივიდა ჯარით გენ. მელლერ-ზაკომელსკი. ამ დღეს სალამოი დეპოში მიტინგი იყო. დეპო განათებული არ იყო, მხოლოდ თითო-ოროლა ფანარი ანათებდა ორატორების გარშემო. ამ დროს ალაყაფის კართან სალდათები გაჩნდნენ. ვიღაცამ რევოლვერი გაისროლა და ამის შემდეგ დეპოდან დაიწყეს ჩაქუჩებისა და სხვა იარაღის სროლა. უიარაღო ხალხში შეიჭრა ერთი რაზმი და ასტეხა სროლა. ამ რაზმმა მოჰკლა 48 კაცი და დასჭრა 70.

ამ ჟამად იწყება მუშების გასამართლება. უნდა გავიხსენოთ, რომ ის მუშები, რომელნიც ალყა-შემორტყმულნი იყვნენ, ჯარს დანებდნენ მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი სამოქალაქო სასამართლოს გაესამართლებინა და არა სამხედროს. სამხედრო სასამართლოც იმ აზრისა იყო, რომ საქმე უნდა სასამართლო პალატას გადასცემოდა. ამ აზრისა იყო მინისტრი აკიმოვიც, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრმა დურნოვომ თავისი გაიყვანა და საქმე სამხედრო სასამართლოს გადაეცა.

წერილები

კახეთი. ქონებრივად დაქვეითებული კახეთი ეს რამდენიმე წელიწადია გამოვიდა მოქ-

---

ჯალათთან, მალიუტა სკურატოვთან, რათა ხედმიწევნით შეესწავლა ხელობა სიყვარულის შიშით შექმნისა.

შეგირდმა ოსტატს აჯობა.

„შფოთი, დაუცხრომელი ხალხი“ გოლუტვინოში შეიხიზნა,—მოუვიდა ცნობა პოლკოვნიკს რიმანს.—აღადგინეთ სიყვარულიო“.

— სიხარულით ვეცდები, თქვენო აღმატებულებავ!

საჩქაროდ გაემზადა. სწრაფად შეასრულა ბრძანება. სინდისიერად მოიხადა მოვალეობა. რკინის გზის სადგურზედ ოთახია. კარებში სალდათები დგანან. ოთახში შეაგდეს ერთი „შფოთის“ მოყვარული კაცი... მეორე... მესამე... სულ ოცდა ექვსნი იყვნენ, რომელთაც გულში სიყვარული ჩაქროთ, პოლკოვნიკ რიმანის აზრით. ჯოჯოხეთში გულთმისნობაც ისწავლა.

— თქვენ რისთვის დაგიჭირეს?

— არ ვიცი... თქვენ რისათვის?

— არ ვიცი.

— მალე გავიგებთ: ჩვენებას ჩამოგვართმევენ,—ანუგეშებდა მესამე.

დრო გულსაკლავად ნელა მიდიოდა. რკინის გზის საათი უგრძნობლად უკრავდა თავის ერთფეროვან ტიკ-ტაკს...

კარი გაიღო. ოთახიდან გავიდა ცამეტი კაცი. მორჩილებით უკან გაჰყვა სალდათებს.

— ალბად, ჩვენების ჩამოსართმევად მივყავართ,—ეუბნებოდნენ ერთმანეთს გულუბრყვილონი.

გასცდნენ რკინის გზის სადგურს. მოეფარნენ ვაგონებს...

—ტრახ-ტრახ-ტრახ!!!

ცამეტი კაცი მიწაზედ დაეცა..

—ჩვენ როდისღა ჩამოგვართმევენ ჩვენებას?—ეკითხებოდნენ ერთმანეთს ოთახში დარჩენილები.

მალე, ძალიან მალე მისცემთ ჩვენებას, რა გეჩქარებათ!..

კარი გაიღო. ოთახიდან გავიდა ცამეტი კაცი, მორჩილებით უკან გაჰყვა სალდათებს. გასცდნენ რკინის გზის სადგურს. მოეფარნენ ვაგონებს.

—ტრახ-ტრახ-ტრახ!!!

ცამეტი კაცი მიწაზედ დაეცა...

—გუშინ სალამოს მამა დაგვეკარგა!—ტირილით ამბობდა შელუხინის პატარა გოგო.

—ჩვენიც დაიკარგა!—გულამოსკვნილი ეუბნებოდა ქ-ნი ნადეჟინისა.

—მოჰკლეს, ყველანი მოჰკლეს! დაიყვირა გიმნაზიელმა, ნადეჟინის შვილმა, და დაეცა დერეფანში...

პოლკოვნიკი რიმანი ღვთის მოსავი ადამიანია. შეასრულა თუ არა თვისა წმიდა მოვალეობა, მოიწვია მამა ვინოგრადოვი პარაკლისის გადასახდელად, რადგან საქმე კეთილად დაბოლოვდა და გოლუტვინოში მშვიდობიანობა ჩამოვარდა.

მამა ვინოგრადოვმა უარი შეუთვალა: იმავე რაზმის სალდათებმა შვილი მოუკლეს სადგურ აშიტკოვოზედ.

მოიწვიეს მამა ნიკიფორე. ამ ქრისტეს მოძღვრების მღიარებელ მამისთვის შვილი არ მოუკლავთ. თანხმობა განაცხადა.

„მრავალ ჟამიერ სახელოვან სემიონოვის პოლკის რაზმს, რადგან მან შფოთი აღმოფხვრა და დაამყარა მშვიდობიანობა და კაცთა შორის სათნოებაო,“ უქადაგებდა მრევლს მამა ნიკიფორე.

„საუკუნოდ იყოს ხსენება თქვენი, უბრალოდ დახოცილნო,“ გულში მღეროდა ეკკლესიაში შეუმჩნევლად მდგომარე მაცხოვარი. .

საუკუნო იყოს!

* *

მკითხველო, იქნება საყვედური მითხრა, რომ საუცხოვო ხელოვნების ნიმუშები შიშით სიყვარულის შექმნისა მომიძებნია სადღაც, შორეულ ქვეყანაში მაშინ, როდესაც გვერდით, სულ ახლოს, შემეძლო შემეკრიბა არა ნაკლების ღირსების ნიმუშები. სამართლიანია შენი საყვედური, საყვარელო მკითხველო. მაგრამ ნუ დამძრახავ: მეც ადამიანი ვარ და მეც ვგრძნობ შიშსა. ეს რომ არ იყოს, სხვა გარემოება მაბრკოლებს ჩვენის ბედკრულ სამშობლოს წამებიდან მოვქსოვო შიშიანი სიყვარულის სურათი. ამას წინად „კავკაზმა“ თავის მეთაურში გამოაცხადა, რომ დასავლეთ საქართველოდან „სასიამოვნო მოხსენებანი“ მოდისო, რუსულად უფრო კარგად გამოდის: „получаются отрадныя донесенія“.

აბა მითხარ, შემიძლიან ამის შემდეგ ვიფიქრო, რომ ჩვენ სამშობლოში შესაძლებელია სლავუტელ მომრიგებელ შუამავლის და გოლუტვინოს გმირის, პოლკოვნიკ რიმანის, საქმეების მზგავსი რამ?

მე არ შემიძლიან ვიფიქრო და, მგონია, თვალები აებათ, ან სხვანაირად ხედავენ ის თავიანთ თვალით მნახველნი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ საქართველოში გადააჭარბეს შიშით სიყვარულის შექმნის საქმეშიო. თუ ეს ვაჟ-ბატონები არა სცდებიან, განა შესაძლებელი იქნებოდა ის გრძნობით აღსავსე ადრესი, რომელიც მიართვა ოზურგეთმა ბ-ნ ხუნდაძის მეცადინეობით გურიის დამამშვიდებელს. ამ ადრესში გულითადად მადლობას უხდიან „საძაგლებისგან“ აღელვებულ გურიის დამშვიდებისათვის და უცხადებენ წრფელ სიყვარულს.

ალბად, დამამშვიდებელმა ადამიანურ, არა „საძაგლურ“ მოქმედებით დაიმსახურა მცხოვრებთა მადლობა!

არა, არა მჯერა დასავლეთ საქართველოს ამბები!

* *

მაინც... „ღმერთო ჩემო, მე არა ვჩივი, არა ვტირი, თუმცა ვხედავ, რომ ქარიშხალი გულ-საკლავის კვნესით მიაქანებს ღრუბლებს, ცრემლებით სავსეს.

არა ვჩივი, თუმცა ბრწყინვალე დღის სინათლე კრთება და ხანგრძლივი ღამის სიბნელედ იცვლება.

არა ვჩივი, თუმცა ყვავილი, ძლივს გაფურჩქნილი, ჭკნება და სიცოცხლეს ესალმება; თუმცა წმინდა სიმართლის ნათელ ლაჟვარდს და სხივს ვხედავ მხოლოდ ჭექაქუხილის შემდეგ.

მე არა ვჩივი, თუმცა მომაკვდავთა გმინვა ცას შეჰღაღადებს და გამოძახილს ვერ ჰპოვებს, იკარგება ვითა უდაბნოში...

მე არა ვჩივი, თუმცა ადამიანის გული შენ შეჰქმენ სუსტი, უღონო მისწრაფებისაგან, შეუსრულებელ ოცნებისაგან მაშინ, როცა იგი უნდა გამოგეჭედა ფოლადისაგან...

მე არა ვჩივი, თუმცა იდეალი დამსხვრეულია, როგორც მიწაზედ ჩამოგდებული კერპი, და აღარ ანთებს ადამიანის გულს...

მე არა ვჩივი, თუმცა მზის მხიარულ სხივს არ უყვარს ლატაკის ქოხში, დაპატიმრებულის საპყრობილეში შეშუქება; თუმცა სევდის დემონმა შეიპყრა ჩვენი თაობა; თუმცა მწარე ცრემლებს აღვრევინებს, მწვავ მწუხარებას და საშინელ უბედურებას თავზე ატეხავს მიწიერი ცხოვრება; თუმცა ნელა მიდის დრო ტანჯულ ხალხის გვერდით.

არა, მე არა ვჩივი. რას უშველის ჩემი ჩივილი, გინდა მთელი ქვეყანაც შევძრა, როგორც ქარიშხალმა.

მხოლოდ-კი ვწუხვარ, რომ, ღმერთო ჩემო, შენა ხარ ამდენ ტანჯვის მეუფე.“

ასე მღერის გულ-დაკოდილი ჩანგი პოეტქალისა.

მაგრამ იმის ჩივილს მიემატა ჩივილი ათი ათას სხვა ტანჯულისა. ზეცა შეირყა, შეძრწუნდა დედა-მიწის გმინვით, კიდით კიდემდე გადადის საზარელი ხმა, ერთდება...

ვაი იმას, ვინც არ გაიგონებს!

ყვავი.

[illegible]

დნენ ტყეში გასამიჯნავად, მოხდა მკითხველთათვის უკვე ცნობილი დრამა, რომელმაც რამდენიმე კ(ა)ცი იმსხვერპლა. ამას მოჰყვა აქა-იქ ბოიკოტი. ბევრგან ამაზედაც მორიგდნენ და ბოიკოტი აიხსნა.

როგორც სარწმუნოდ გადმოგვცეს, აქაურ თავად-აზნაურთა ერთ წრეს გადაუწყვეტია ტყის ანაზღაურებაზე უარი სთქვას. თუ ეს მართალი გამოდგა, ის კომისიაც აღარ დაიწყებს მოქმედებას, რომლის გაგონებაც რაღაც ცუდ მომავალს ექადდა კახეთს.

რასაკვირველია ამის წინააღმდეგი ბევრი იქნება, მაგრამ იმედია ეს პატარა წრე სამსავე მაზრაში ბევრ მომხრეებს იპოვის და თ.-აზნაურობა საქმის გამწვავების მიზეზად არ გახდება. **დევი.**

ღია წერილი

ქველმოქმედთა მიმართ.

„ცნობ. ფურც."-ის მე-2989, 2991 №№-ში მოთავსებულია წერილი დ. ცხინვალიდან, სადაც, სხვათა შორის, ბ-ნი კორესპონდენტი აღნიშნავს ქვრივ ნინო გასრაძის და იმის შვილის მღვდლის ალექსანდრეს სახლების განადგურებას და ცის ქვეშ, ღვთის ანაბარად, თექვსმეტ სულის დარჩენას. შემდეგ დასძენს: ეს იმიტომ მოხდა, რომ ძმა მისი, კორნელი, რევოლიუციონერად ჩასთვალესო. ცხინვალში, სადაც სახლები „ძლევამოსილმა" ჯარმა ზარბაზნებით განადგურა, ეკუთვნოდა ქვრივს და მცირე-წლოვან ობლებს, ხოლო ალექსანდრეს და კორნელის არავითარი მონაწილეობა არა ჰქონდათ და სახლების ქარა (თვეში 15 მან.) [illegible]

გიორგი ზაალის ძე მაჩაბელი

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

9 თებერვალი

პეტერბურგი. ტფილისის გუბერნატორის კანცელიარიის მმართველი ჩერნიავსკი დაინიშნა ტფილ. ვიცე-გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად. „პრავიტ. ვესტნიკ"-ი უმდეგი ცნობებია რევოლიუციონურ მოძრაობის შესახებ რუსეთში: 28 იანვარს 4 ბოროტ-განმზრახველმა, რევოლვერებით ხელში, წაართვეს სამხრეთ-დასავლეთის რკ. გზების ფოსტ მარტელეს 8000 მან. და დაუტოვეს პარათი სოც.-რევოლიუციონერების პარტიისა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფულებს სარევოლიუციო მიზნით ართმევენ.

28 იანვარს ვილნოში დაიჭირეს 4 ახალგაზრდა ებრაელი, რომელნიც გაიარეცებით ადევნებდნენ თვალს ვილნოს გუბერნატორის მამოსვლას, რომელიც ამ დღეს ჩავიდა პეტერბურგიდან. დაიჭირეს ოთხივე და უპოვეს 8 გირვანქიანი ბომბა, გოგირდის სიმჟავე და სამი გატენილი რევოლვერი. 29 იანვარს პეტერბურგში გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს რამდენიმე ქილა სხვა და სხვა საწამლავით. სტამბის მოწყობილება, 2200 ფურცელი მოწოდება ანარქისტ-ობშჩინნიკებისა. 30 იანვარს საღამოს ვილნოში პოლიციამ შეამჩნია რამდენიმე კაცი, [illegible]

მუშა არ მუშაობს. საზოგადოთ ლოძში არ მუშაობს 3000-მდე მუშა.

კიევი. უნივერსიტეტი მიმდინარე წელს არ გაიღება საბჭოს გადაწყვეტილებით.

სოფია, 8 თებერვალი. „ჰავასის სააგენტო"-ს წარმომადგენელი სტამბოლში ჟურ ნალისტ დაპატიმრეს გუშინ. თურმე ნალისტ დიდძალ ფულს აძლევდა ფოსტის მოხელეს, თუ იგი მას მიუტანდა კაპიოებს ყველა იმ სადიპლომატო შიფრიან დეპეშებისას, რომელნიც ფოთის გზით ევროპის სატახტო ქალაქებში იგზავნება.

ბრესტ ლიტოვსკი, 7 თებერვალი. დამით ვაჭარს კოგანს შეუვარდა 10 ანარქისტი და მოსთხოვეს 500 მან. კოგანმა ორი დღის ვადა ითხოვა. ბოროტ-განმზრახველნი წავიდნენ. გუშინ ბომბა გადააგდეს კოგანის სახლის ეზოში. არავინ არ დაშავებულა.

სამარა. სრულიად მისწყდა ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრების ძირდვის ცემა. თუმცა კრებებს ნება დართეს, მაგრამ იგინი არ იმართება. უფლებრივი პარტია გამქეფებულია.

ოდესა. ანარქისტებმა, თავის დაცვის დროს ტყვიებით დასჭრეს ერთი ჟანდარმი, ტრამვაის კონდუქტორი და ორი ქალი. ღღემდე პოლიციამ შეიპყრო 26 ანარქისტი. მეთაურები ვერ დაიჭირეს.

რიგა. იკსკიულის მიდამოებში დაიჭირეს 3 რევოლიუციონერი და მოჰკლეს სამხედრო საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ვიტკა, 8 თებერვალი. სამხედრო-საოლქო სასამართლომ გაარჩია უბრალო ჯარის კაცის ფაბრიჩნის საქმე, რომელმაც 18 დეკემბერს სასიკვდილოთ დასჭრა კოტელნიჩესკი ბატალიონის კამანდირი ნესტერენკო. ფაბრიჩნის ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს, მაგრამ დაადგინეს იშუამდგომლონ სასჯელის შემცირებაზე.

ლოძი. პოლონეთში კათოლიკეთა ეკლესია ორად გაიყო: დაარსდა ეგრედ წოდებული მან-კეტნიკები, რომელთაც არა სწამთ პაპი და ეპისკოპოსები. ეს სექტა უკანასკნელ დროს აშკარათ მოქმედებს. გაზეთების სიტყვით ლოძ-ის მიდამოებში შეტაკებაა მართლ-მორწმუნე კათოლიკეთა და სანკეტნიკების შორის.

მიტავა. გაზენპოტის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში რაზმმა დაატუსაღა 34 გლეხი, რომელთაც 5 დახვრიტეს კიდეც წინააღმდეგობის გაწევისთვის. წაართვეს 65 რევოლვერი.

ბუდაპეშტი. ვუშინ გამოქვეყნებულ იქმნა საიმპერატორო ხელშეკრულობა, რასაც აბსოლიუტიზმის ფაქტიურ დასაწყისად სთვლიან. ვინაიდან ეს ხელშეკრულობა პარლამენტს არ დაუმტკიცებია.

[illegible]

43 ათასი გაპსული აღმოაჩინდა ვინტოვკების პატრონებისა.

ბერლინი. პრესას სჯა-ბასი აქვს მაროკოს საკითხზე და ამბობს, რომ ომის ჩამოვარდნა არ არის მოსალოდნელი.

ელისავეტგრადი, 8 თებერვალი. ადგილობრივი ქალაქის უფროსის განკარგულებით სამსახურიდან ითხოვენ და სამართალში აძლევენ ფოსტა-ტელეგრაფის 5 მოხელეს გაფიცვაში მონაწილეობისთვის.

კოზენცა, 8 თებერვალი. დილით მიწის ძვრა მოხდა. მცხოვრებთ შიშის ზარი დასცათ.

სიმბირსკი. ქალაქის საბჭომ დაადგინა, შეიკრიბნენ ერთად ყველა წევრები და წავიდნენ გუბერნატორთან მადლობის გამოსაცხადებლად ჰუმანიურ მართვა-გამგეობისათვის, ქალაქში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ძალმომრეობის ხმარებისა.

ბახმუტი, 8 თებერვალი. დონეცის ბასეინში ყველგან აღდგენილია წესიერება. მაღაროებსა და ქარხნებში წესიერი მუშაობაა.

პეკინი, 9 თებერვალი. როგორც ჩინეთის წყაროებიდან სჩანს, ჩინეთის მთავრობას უცნობებია რუსეთის ელჩი პოკატილოვისთვის, რომ იგი ისჯა-ბასებს მანჯურიის შესახებ საკითხებზე იმდენად, რამდენადაც ეს პორტსმუტის ხელშეკრულობისაგან გამომდინარეობს. ამასთანავე საკითხების რიცხვში არ შედიან რუსე- [illegible]

პეტერბურგი, 9 თებერვალი. ზოგიერთ გაზეთებში იყო დასტამბული, ვითომც ვიტეს განწყობილება ჰქონოდეს გაპონთან და ვითომც დიდძალი ფულებიც მიეცეს მისთვის. ვიტეს არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონია გაპონთან და ტყუილია ყველაფერი ამის შესახებ.

ოდესა. იმ საზრალმდებლო ოქმიდან, რომელიც ოდესაში არტილერისტთა მე-15-ე ბრიგადის პირველ ბატარეის სალდათებს შეეხება, ნათქვამია: 12 იანვარს ფელდფებელმა უბრძანა 20 სალდათს გამზადებულიყვნენ ყარაულში წასასვლელად, მაგრამ სალდათებმა უარი სთქვეს წასვლაზე და დაჰნძრა დაუწყეს ფელდფებელს. უფროსმა ოფიცერმა უბრძანა სალდათებს ცხენები შეეკაზმათ, მაგრამ იმათ უარი სთქვეს.

რიგა. ჯარმა რიგის მაზრაში დაიჭირა 3 რევოლიუციონერი და დახვრიტა სამივე საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ბრესტი. მოტკალსკი ვოლოსტში თავს დაეცნენ მემამულე ტოლოჩკოს, დასჭრეს იგი და მისი დარაჯი, შეიჭრნენ სახლში და წაიღეს 93 მ., ქაღალდები და ტანისამოსი.

ტეჰერანი. მოვიდნენ სანიტარები ჟამის წინააღმდეგ საბრძოლველად. შიშიანობა აღარაა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა კანალიზაციის გასაკეთებლად ლაზარევის ქუჩაზე მე VII ნაწილში. გასაკეთებელია 128 საჟ. ბეტონის მილი 0,375+0 25 სა და 4 ჩასახედი ჭა.

წერილობითი პირობები აღნიშნულ სამუშაოების ფასების აღნუსხვით უნდა წარმოედგინოს გამგეობას დახურულ კონვერტებში ამა წლის 15 თებერვლამდე.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღევის 12-დან 2 მდე, (5. 3 —1)

ახალი წიგნები

სამი სიტყვა. თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა—ერთობა ივ. მაჭავარიანისა—5 კ. როგორ უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენლების არჩევნები? ა. ლომთათიძისა—4 კ. ლუმა ჭურის ბმბავი ანუ ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან თარგმანი კ. ნინიძისა—6 კ.

იყიდება ვ. ვადილიას წიგნის მაღაზიაში, ტფილისი კიროჩნი ქუჩა № 7. და ქ. ოზურგეთის წ. კ. გამ. საზოგადოების მაღაზიაში. (5—6.—4)

• კბილებს •

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ[illegible]. მიხეილის ქ. № 90. გერმანელთა ეკლ. ის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—36).

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

ოთხი წიგნი

!!!ნ ე რ გ ი!!!

ოთხი წლისათვის საკითხავი, საწერი და საგრამატიკო მასალით ანბანითურთ,—სკოლებში, ოჯახებში და მოზრდილთათვის სახმარად. შეიცავენ რჩეულ წერილებს ძნელი სიტყვების განმარტებით.

თვითეული წიგნი ღირს 20 კაპეიკი გაგზავნით. წიგნთ მოვაჭრეებს და სკოლებს დაეთმობათ 15 კაპეიკად. გასაცნობად გამწერთ შეუძლიანთ წიგნების ფასი მარკებით გამოგზავნონ. მზადდება მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე წლების წიგნებიც ამავე სახელით. ადრესი: въ Тифлисъ, Тумановскій пер. 38. Ивану Павлвичу Ростомашвили.

აქვე იყიდება სახლი, ცხრა ოთახი და სარდაფი 80 საჟენი მიწით, ბანკის ვალი 1600 მანეთი, დასამატი 2400 მანეთი. წყნარი ადგილი და სუფთა ჰაერია. (10—9)

მორთული და მოკაზმული ნომრები

„ლივადია"

ქალაქის შუაგულში, სახაზინო თეატრის გვერდით, თეატრის შესახვევში, მშვენივრად მორთული და მოწყობილი ოცი ოთახი. იძლევა დღიურად ათი შაურიდან ნომერი და თვიურად 12 მანეთიდან და მეტი. სისუფთავე და თავაზიანი მსახური. (2—49—1)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

„ცნობის ფურცელზე"

ხელის მოწერა მიიღება: **ჭიათურაში** ბ-ნ **სოფ. ტარიელიშვილთან** ჭიათურის საურთიერთო კრედიტის ბანკში. იქვე იყიდება ცალკე ნომრები. **ქუთაისში** ბ-ნ ის. კვიცარიძესთან. იქვე იყიდება ცალკე ნომრები.

ქუთაისში

საქ. ბ. თოფურიას **სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

განცხადება

საგლეხო საადგილ-მამულო ბანკისა.

ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების და მისს იმპერატორებით უდიდებულესობის კავკასიის ნამესტნიკის შორის მომხდარ შეთანხმების ძალით ქალაქ ტფილისში იხსნება ამიერ-კავკასიის განყოფილება საგლეხო საადგილ-მამულო ბანკისა; ბანკი იმოქმედებს ამიერ-კავკასიის იმ ადგილებში, რომელიც ექვემდებარება კავკასიის საერთო სამოქალაქო მმართველობას, ესე იგი ტფილისის, ქუთაისის, ბაქოს, განჯის და ერევნის გუბერნიებში. ზემოხსენებული განყოფილება შეუდგება მოქმედებას 1906 წ. თებერვლის 15-დან. (5—43—4).

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ

КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

Необходимы для домашняго употребленія. Образцовы въ конструкціи и исполненіи. Продаются только въ магаз. Комп. Зингеръ.

Отпускъ машинъ съ платежемъ **отъ 1 рубля въ недѣлю.**

Безплатное обученіе шитью и моднымъ художественнымъ вышивкамъ.

Остерегайтесь поддѣлокъ! **Ручныя машины съ высокимъ рукавомъ во всѣхъ нашихъ магазинахъ отъ 25 руб.**

Болѣе 1200 собственныхъ магазиновъ по всей Россіи!

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ ЗИНГЕРЪ — Магазинная вывѣска. Рисунокъ утв. Отд. пром. и торг. М. Фин.

THE SINGER MANFG. CO. TRADE MARK — фабричное клеймо, которымъ снабжены машины.

საკერავი მაშინები — ზინგერის ამხანაგობისა

იყიდება მხოლოდ ამხანაგობის საკუთარ მაღაზიებში. ამხანაგობას 1200-ზე მეტი მაღაზია აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. მაღაზიები გაიგება ხედ წარწერით რომელზედაც გამოხატულია ასო „ზ". ნიშანი დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროს სამრეწ. და სავაჭრო განყოფილების მიერ. გაუფრთხილდით, არ მოგატყუონ! ყიდვა მაშინისა შეიძლება ნისიად, და ფულის ნაწილ ნაწილ შემოტანით, კვირაში ერთი მანეთიდან. (25—23).